ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეფხისტყაოსანი ანბანური-ნუსხური

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღესასწაულის მონაწილის ჩაცმულობა უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ სტილსა და შინაარსს. დღესასწაულის ჩატარებისათვის შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი და ჟიური.

— გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრიზები:

— „ვარიხკა წერეთლის“ — გიტარის თანხლებით შესრულებული საუკეთესო სიმღერისათვის:

— „მიქაელ მოდრეკილის“ — საუკეთესო ვოკალური ჯგუფისათვის, რომელიც აღადგენს მივიწყებულ ძველ ქართულ ხალხურ სიმღერებს;

— „ფილიმონ ქორიძის“ — პოლიფონიური სიმღერის საუკეთესო შემსრულებელი კოლექტივისათვის:

— „ია კარგარეთელის“ — საუკეთესო ინდივიდუალური შემსრულებლისათვის (სოლო, დუეტი, ტრიო);

— „სანდრო კავსაძის“ — ხალხური სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის.

— „რევაზ ლაღიძის“ — ლირიკული სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის

— **დღესასწაულში კონკურს გარეშე მონაწილენი ღირსებულ ლოვდებიან სამახსოვრო სუვენირებით და სიგელებით.**

საორგანიზაციო კომიტეტი



ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროში სიმღერა „სულიკოს“ ავტორის ვარინკა წერეთლისადმი მიძღვნილი ქართული სიმღერის სახალხო დღესასწაულის

დეგუულეგა

ქ. ზესტაფონი
1983 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახალხო დღესასწაულის

წესგანაგება

— ქართული სიმღერის სახალხო დღესასწაული, რომელიც ეძღვნება საყოველთაოდ ცნობილი სიმღერის „სულიკოს“ ავტორს ვ. წერეთელს. წარმოადგენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის, ხალხური შემოქმედებისა და ისტორიული ძეგლების აღდგენა-განახლების, თანამედროვე სახალხო დღესასწაულების მოწყობის ღონისძიებათა შემადგენელ ნაწილს.

— დღესასწაულის ძირითადი ამოცანაა: ზესტაფონის რაიონში, იმერეთის რეგიონსა და რესპუბლიკაში ხალხური შემოქმედების შემდგომი აღმავლობა, მასში ახალი კოლექტივების, წრეებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა ჩაბმა. ნუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, მოზარდი თაობის მონაწილეობა.

— დღესასწაულში მონაწილეობა საჯალდებულოა ზესტაფონის რაიონის კულტურის სახლებთან, კლუბებთან, წარმოება-დაწესებულებებთან არსებული ოფიციური კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლებისათვის, საოჯახო ანსამბლებისათვის. აქედან საუკეთესონი შეირჩევიან დასკვნით კონცერტში მონაწილეობის მისაღებად.

— დღესასწაულში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: ვოკალურ ჯგუფებს, ხალხურ ინსტრუმენტალურ ანსამბლებს, ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლებს, ინდივიდუალურ შემსრულებლებს. ანსამბლის წევრთა რაოდენობა არ უნდა **აღემატებოდეს 12 კაცს.**

— საქართველოს ცალკეული კუთხიდან, ავტონომიური რესპუბლიკებიდან, ავტონომიური ოლქიდან, ქალაქ თბილისიდან ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები მოწვეული იქნებიან დღესასწაულის საორგანიზაციო კომიტეტის რეკომენდაციით.

— დღესასწაულში პროფესიული კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები, აგრეთვე ზესტაფონის რაიონთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული სომხეთის სსრ თუმანიანის, ლიტვის სსრ ტაურაგეს რაიონების ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობენ კონკურსს გარეშე.

— დღესასწაულში მონაწილე კოლექტივები და ინდივიდიალური შემსრულებლები ვალდებულნი არიან შეასრულონ:

— ხალხური სიმღერა.

— თავის კუთხისათვის დამახასიათებელი ძველი, მივიწყების პირზე მყოფი ან დავიწყებული სიმღერა.

— შემსრულებლისათვის სასურველი სიმღერა.

შენიშვნა: ყველა მონაწილემ ვალდებულია იცოდეს „სულიკო“,



ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივცემულო ამხ. ს. ლაფაურს

198 3 წლის 28 მაისს სოფელ ცხრაწყაროში გაიმართება სიმღერა „სულიკოს“ ავტორის ვარინკა წერეთლისადმი მიძღვნილი ქართული სიმღერის სახალხო დღესასწაული

„ მ ა ხ ს ე ნ ე ბ ა “

გთხოვთ მობრძანდეთ.

საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომი,
სახალხო დეპუტატთა ზესტაფონის
რაისაბჭოს აღმასკომი,
ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის
სახელმწიფო კომიტეტი.